ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2010 წლის 5 ოქტომბერი ქ. ლაგოდეხი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 3 8

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დამტკიცებული პროექტის ფარგლებში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლებში ჭაბურღილების მოწყობის და ქ. ლაგოდეხში წყალსადენისა და კანალიზაციის რეაბილიტაციის ქვეპროექტის დასაფინანსებლად საქართველოს მთავრობიდან სასესხო დამატებების საფუძველზე სესხის აღების ნებართვის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ყ'' ქვეპუნქტის და ამავე კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

1. ეთხოვოს საქართველოს მთავრობას ნებართვა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დამტკიცებული პროექტის ფარგლებში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლებში ჭაბურღილების მოწყობის და ქ. ლაგოდეხში წყალსადენისა და კანალიზაციის რეაბილიტაციის ქვეპროექტის დასაფინანსებლად აზიის განვითარების ბანკთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 10 წლის ვადით, წლიური 12 % საპროცენტო განაკვეთით ნაცვლად 595255.18 (ხუთას ოთხმოცდათხუთმეტი ათას ორას ორმოცდათხუთმეტი ლარი და თვრამეტი თეთრი) ლარის ხელშეკრულების სასესხო დამატებების საფუძველზე 616561 (ექვსას თექვსმეტი ათას ხუთას სამოცდაერთი) ლარის სესხის აღების თაობაზე.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით,ლაგოდეხის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: 26 მაისის ქ. №19.

საკრებულოს თავმჯდომარე: /გიორგი გოზალიშვილი/